ხაშურის მოამბე

№42 (463) 4 ნოემბერი, ორშაბათი, 2024 წელი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ამომრჩევლებს მიმდინარე წელს გაწეული მუშაობის ანგარიში წარუდგინა

31 ოქტომბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნინო ლიპარტელიანმა ამომრჩეველს ერთწლიანი მუშაობის ანგარიში წარუდგინა. ანგარიშის მოსმენას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი და დაინტერესებული მოქალაქეები.

საკრებულოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას საკრებულოს სხდომებში მონაწილეობის, ადგილობრივ და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობის, პროექტების მომზადებისა და ინიციირების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

ისაუბრა საკრებულოს მუშაობის სხვადასხვა მიმართულებებზე. ყურადღება გაამახვილა სოციალურ საკითხებზე და, როგორც გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, დააყენა საკითხი აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა და მოზარდთა პროგრამის ოდენობის გაზრდის შესახებ.

ხაშურში, არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი გაიხსნა

ცენტრის მიზანია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ და რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანთა რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია და სოციალიზაცია, ასევე, დანაშაულის პრევენცია, ინსტიტუციური და კომპლექსური მიდგომით.

არასრულწლოვანთა რეფერირების ახალ ცენტრში ბენეფიციარების რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესის ეფექტიანი განხორციელებისთვის ყველა პირობაა შექმნილი და შესაბამისი საჭიროებები სრულად არის გათვალისწინებული.

რეფერირების ცენტრი გახსნა იუსტიციის მინისტრის მოადგილე ბუბა ლომუაშვილმა და დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსმა ლადო ხელაძემ. ღონისძიებას, ასევე, ესწრებოდნენ პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში ნიკო თათულაშვილი და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი.

არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი აქამდე თბილისში, ქუთაისში, თელავსა და ბათუმში არსებობდა. დღეიდან უკვე ხაშურში ფუნქციონირებს.

არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეულია.



ხაშურში, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერში, დიმიტრი ყიფიანის ბიუსტი განთავსდება

„სპეციალური კომისია, ჩემი ხელმძღვანელობით გაეცნო ბიუსტის ესკიზს. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ მერიის შესაბამისი სამსახურების, ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების, სახელოვნებო წრეების წარმომადგენლები და დიმიტრი ყიფიანის შთამომავლები. ბიუსტი უკვე ადგილზეა და სულ მალე, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერში განვათავსებთ.“- აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

სურამში, ცენტრალურ სკვერში არსებული კინოთეატრის რეაბილიტაცია დაიწყო

„როგორც მოგეხსენებათ, სურამში კინოთეატრი ძალიან დიდი ხანია არ ფუნქციონირებდა. განსაკუთრებული ძალისხმევა მივმართეთ კინოთეატრის შენობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოსაცემად. ამჯერად, მუნიციპალიტეტი კინოთეატრის შენობის სრულ რეაბილიტაციას გეგმავს, რეაბილიტირებული შენობა სამუსიკო სკოლას და სურამის ბიბლიოთეკას გააერთიანებს. აქვე გადავა სურამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ოფისიც. განახლებული შენობა ჩვენი საყვარელი სურამის ცენტრს ახალ ხიბლსა და სიცოცხლეს შემატებს. მისი დიზაინის მომზადებაში უშუალოდ ვიყავი ჩართული და ვფიქრობთ, ძალიან ლამაზი გამოგვივა“- აღნიშნა სამუშაოების დათვალიერებისას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის გიორგი პაპიაშვილის განმარტებით, სამუშაოებს მთლიანად მუნიციპალიტეტი აფინანსებს და ღირებულება 1 941 000 ლარს შეადგენს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ 2024 წლის 31 ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო მრავალპარტიული ინსტიტუციაა. პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ წარმოდგენილია 16 წევრით, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა “ - 8 წევრით, პარტია „ საქართველოსთვის“ - 2 წევრით და პარტია „ლელო“ - 1 წევრით.

საკრებულოს შემადგენლობაშია 5 კომისია:

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია;

სოციალურ საკითხთა კომისია;

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია;

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია;

საფინანსო საბიუჯეტო კომისია;

ანგარიშის წარდგენისას გამოვალ საკრებულოს ძირითადი უფლებამოსილებებიდან, რომელიც 5 ჯგუფად იყოფა, ესაა:

პოლიტიკის განსაზღვრა;

საფინანსო-საბიუჯეტო უფლებამოსილებები;

აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის რეგულირება და კონტროლი;

მუნიციპალური ქონების მართვა და განკარგვა;

ორგანიზაციული საკითხების განსაზღვრა;

ასევე, გავითვალისწინებ საკრებულოს წევრის ძირითადი საქმიანობის 11 როლს:

ჩართულია სტრატეგიის შემუშავებაში;

არის გადაწყვეტილების მიმღები;

იღებს და გადასცემს სწორ ინფორმაციას;

მუშაობს გუნდურად;

მხარს უჭერს თანამშრომლობას;

არის მოლაპარაკებების მწარმოებელი;

მონიტორინგს უწევს საჯარო ფულადი რესურსების სწორად ხარჯვას;

არის შესაძლებლობების შემქმნელი;

აყენებს ინიციატივებს და ა.შ.

წარმოგიდგენთ საკრებულოს შემადგენლობაში მოქმედი კომისიების საქმიანობის სტატისტიკას:

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ ჩაატარა 18 სხდომა, მოსმენილ იქნა მერიის სხვადასხვა სამსახურების მიერ წარმოდგენილი 6 ანგარიში;

განხილულ იქნა მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების 4 და განკარგულების 9 პროექტი;

სანამდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ ჩაატარა 20 სხდომა, მოსმენილ იქნა მერიის სხვადასხვა სამსახურების მიერ წარმოდგენილი 11 ანგარიში;

განხილულ იქნა მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების 9 და განკარგულების 8 პროექტი;

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიამ ჩაატარა 22 სხდომა, მოსმენილ იქნა მერიის სხვადასხვა სამსახურების მიერ წარმოდგენილი 12 ანგარიში;

განხილულ იქნა მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების 3 და განკარგულების 16 პროექტი;

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ ჩაატარა 21 სხდომა, მოსმენილ იქნა მერიის სხვადასხვა სამსახურების მიერ წარმოდგენილი 12 ანგარიში;

განხილულ იქნა მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების 1 და განკარგულების 14 პროექტი;

სოციალურ საკითხთა კომისიამ ჩაატარა 15 სხდომა, მოსმენილ იქნა მერიის სხვადასხვა სამსახურების მიერ წარმოდგენილი 7 ანგარიში;

განხილულ იქნა მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების 1 და განკარგულების 4 პროექტი;

ერთ-ერთი პირველი აქტივობა, რომელიც საფინანსო-საბიუჯეტო უფლებამოსილებების ფარგლებში განვახორციელეთ, გახლავთ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში“ მონაწილეობა, რომელიც 2024 წლის 31 იანვრიდან დაიწყო. საქართველოს მთავრობის N2476 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 904 000 ლარი გამოიყო. პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის 76 სოფელსა და დაბა სურამში მოსახლეობასთან შეხვედრები გაიმართა. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის მიერ ხმათა უმრავლესობით მხარდაჭერილი პროექტები ფინანსდება როგორც საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტიდან. თანადაფინანსებამ ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგინა 804 444 ლარი. საკრებულოს წარმომადგენლები, მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად, შევხვდით ურთხვის, ზეკოტას, ბიჯნისის, დიდი და პატარა ბეკამის, წრომის, ნადარბაზევის, იმერლიანთკარის, ახალშენის, დიდი და პატარა ყელეთის, წაღვლის, ალის, ნაბახტევის, დიდი და პატარა ფლევის, ნაცარგორას და ტკოცის, ვაყის, გომის, ზემო და ქვემო ოსიაურის, ცხრამუხის, ქვიშხეთის, ტეზრის და დაბა სურამის, ბრილის, ზემო აძვისის, კლდისწყაროს და უწლევის, დუმაცხოვის, ახალუბნის, ქინძათისა და მცხეთიჯვრის მოსახლეობას, ერთობლივად ვიმსჯელეთ პრიორიტეტულ პრობლემებზე და დავსახეთ მათი გადაჭრის გზები. სოფლის კრებებზე მოქალაქეთა გადაწყვეტილებით შერჩეული პროექტები დასამტკიცებლად მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინა.

მეორე მნიშვნელოვანი აქტივობა, რომელიც საფინანსო-საბიუჯეტო უფლებამოსილებების ფარგლებში, განვახორციელეთ გახლავთ სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირება. ეს გახლავთ უმნიშვნელოვანესი პროექტი მუნიციპალიტეტებისათვის. პირველი განმახორციელებლები იყვნენ ხულოს მუნიციპალიტეტის წარმოამდგენლები, რომლებიც სამი წლის უკან გვსტუმრობდნენ თავიანთი გამოცდილების გასაზიარებლად. იმდენად წარმატებული აღმოჩნდა ეს პროექტი ხაშურის მუნიციპალიტეტისათვის, რომ დღეს მზად ვართ ჩვენი გამოცდილება სხვა მუნიციპალიტეტებს გავუზიაროთ. ესაა მუნიციპალიტეტის და მოქალაქეების, ამ ფორმატით ურთიერთთანამშრომლობის იდეალური მოდელი. წელს შეირჩა სამი ლოკაცია: სოფ. სარმანიშვილისკარი, სოფ. სათივე და სოფ. ალი. სამომავლოდ მხარს დავუჭერთ მუნიციპალიტეტის პოზიციას, რომ გაიზარდოს სამოქალაქო ბიუჯეტირების საბიუჯეტო სახსრები.

აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის რეგულირებისა და კონტროლის უფლებამოსილების ფარგლებში საკრებულოში მოქმედ კომისიებზე სისტემატიურად ხდება მერიის სხვადასხვა სამსახური ხელმძღვანელების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენა, მათ შორის: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების, მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის, ეკონომიკური განვითარების სამსახურის სივრცით-მოწყობისა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილების, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმის წარმოების და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების, მერიის ზედამხედველობის სამსახურის და ა.შ.

მუნიციპალური ქონების მართვა და განკარგვის უფლებამოსილებების ფარგლებში საკრებულო თავის პოზიციას გამოხატავს ხაშურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენისას, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების (გარდა მიწისა) სარგებლობის ფორმით გადაცემის საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრისას, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან არასაცხოვრებელი ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით გადაცემის პროექტების მიღებისას და ა.შ.

ორგანიზაციული საკითხების განსაზღვრის უფლებამოსილებების ფარგლებში, საკრებულო თავის პოზიციას გამოხატავს ხაშურის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის მოხელეთა 2023 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცებისას,

სოციალურად შეჭირვებულ პირებზე, საშეშე მერქნის გადაცემის თაობაზე, მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემისას, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის კვარტლების მიხედვით სამუშაო გეგმის დამტკიცებისას, სოფლის განვითარების სააგენტოს უფროსის მიერ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ახალი პროგრამის შესახებ ინფორმაციის მოსმენის და სხვა საორგანიზაციო საკითხების რეგულაციებში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ 2024 წლის 31 ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის ანგარიში

საკრებულოს თითოეული დეპუტატის უმნიშვნელოვანესი უფლებამოსილებაა პოლიტიკის განსაზღვრა, ამიტომ ჩვენი საქმიანობა მოიცავს საზოგადოების მოთხოვნებიდან გამომდინარე შეხვედრებში, პროექტებსა და ტრენინგებში თანამონაწილეობას.

2024 წლის აპრილის თვეში ვიყავით შეხვედრის ორგანიზატორი ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის“ შიდა ქართლის და მუნიციპალიტეტის სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებთან. ვისაუბრეთ სოფლის ამბულატორიებში არსებულ მდგომარეობასა და გამოწვევებზე, სამომავლოდ განსახორციელებელ ღონისძიებებზე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო 2 აპრილს, აუტიზმის ცნობადობის

ამაღლების მსოფლიო კამპანიას შეუერთდა. ყველასათვის ცნობილია, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტში 2023 წლიდან ფუნქციონირებს ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრი, რომელიც 7 - წლამდე ბავშვების განვითარებას ემსახურება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარბაზში ოსიაურის საჯარო სკოლის მოსწავლეებს და დირექტორის მოადგილეს თამარ ახალკაცს ვუმასპინძლეთ.ხაზი გაესვა სამოქალაქო განათლების როლს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაში, აღინიშნა, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ყოველთვის მზადაა ახალგაზრდებთან თანამშრომლობისათვის.

2024 წლის 22 აპრილს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო, დედამიწის დღესთან დაკავშირებით, შეუერთდა ხაშურის ახალგაზრდული საბჭოს ინიციატივას-სურამში, ყოფილი რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებასთან დაკავშირებით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო იქნება ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი ცხრამუხელი აქტივისტის, ელია ხმალაძის ინიციატივისა-სოფლის ცენტრში მდებარე ციხეში გაკეთდეს სამუზეუმო სივრცე. ახალგაზრდების ჩართულობით,

გამოვთქვამთ მზაობას და თანამშრომლობის სურვილს.

2024 წლის 12 მაისს, ჩვენთან შეხვედრის სურვილი გამოთქვეს გომის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და გეოგრაფიის პედაგოგმა ბონდო გელაშვილმა. მოსწავლეებს აქვთ იდეა სოფელში აღადგინონ ქარსაცავი ზონები და ამით ხელი შეუწყონ კლიმატის გაუმჯობესებას. დაიგეგმა აქტივობები პროექტის

განსახორციელებლად. შეხვედრას ესწრებოდა სურსათისა და სოფლის მეურნეობის სააგენტოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი ჯემალ გელაშვილი, რომელმაც ასევე გამოხატა მზადყოფნა.

2024 წლის 2 ივნისს, საკრებულოს მორიგ სხდომას ესწრებოდნენ ხაშურის #8 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრები. USAID სამოქალაქო განათლების პროგრამის საგრანტო პროექტის ,,დემოკრატია იწყება სკოლიდან” ფარგლებში, მოსწავლეები გაეცნენ საკრებულოს მუშაობის სპეციფიკას და ჩაატრეს იმიტირებული სხდომა.

2024 წლის 24 ივნისი-ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო წარმოადგენდა ერთ-ერთ აქტიურ მხარდამჭერს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო

ორგანო-„ხაშურის ახალგაზრდული საბჭოს“ შექმნა-ჩამოყალიბებისა, რადგან უდიდესია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების სრულფასოვანი მონაწილეობისა და ჩართულობის მნიშვნელობა.

2024 წლის 20 ივნისი-ვიყავით აქტიური მხარდამჭერი ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში გამართული შემაჯამებელი ღონისძიებისა „მოდის თაობა, იმედი ხვალის!„ წარმოდეგნილი იყო მთელი წლის მანძილზე შესწავლილი ქართული ცეკვები და საესტრადო სიმღერები. გამოფენილი გახლდათ: ხატვის, ქარგვის და თექის წრის წევრთა საინტერესო ნამუშევრები.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმოადგენდა ერთ-ერთ აქტიურ მხარდამჭერს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, ბ-ნ ზვიად გოგუაძის ინიციატივის-ამოქმედებულიყო საზაფხულო სკოლა ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ზაფხულში არ ტოვებდნენ რაიონს.

2024 წლის 24 ივნისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, გაიმართა ტრენინგი თემაზე: „პაციენტის უფლებების დაცვის პრევენციული მექანიზმები“. პრეზენტატორებმა აუდიტორიას გააცნეს: პაციენტის ძირითადი უფლებები, ექიმისა და პაციენტის ურთიერთობის, პაციენტებთან კომუნიკაციის ფორმები. იმსჯელეს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, თუ მისი, როგორც პაციენტის, უფლებები დაირღვა, განიხილეს პაციენტის უფლებები, დარღვევების პრევენციის მექანიზმები.

2024 წლის 29 ივნისს, შიდა ქართლის სახელმიფო ადმინისტრაციაში, გაიმართა მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგიისა და მისი 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ საჯარო განხილვა, ყურადღება გამახვილდა მაღალმთიანი დასახლებების მდგრად განვითარებაზე, ადგილობრივ მცხოვრებთა სოციალურ მხარდაჭერასა და სერვისების ხელმისაწვდომობაზე;

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო წარმოადგენდა ერთ-ერთ აქტიურ

მხარდამჭერს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მეწარმე და შემოქმედ ადამიანთა გამოფენა-გაყიდვისა, წარმოდგენილი იყო ხალხური რეწვის ხელნაკეთი და ხელოვნების ნიმუშები. განსაკუთრებული სილამაზე

და ფერები შესძინა ამ დღეს ფლორისტების გამოფენამ, რომელიც წელს პირველად იყო წარმოდგენილი.

საკრებულოს დიდი მხარდაჭერით და „ხაშურის მეწარმე ქალთა“ ინიციატივით, ქალთა მეწარმეობის განვითარების ფარგლებში, დაიწყო მასტერკლასების სერია „მარჯვე ხელები“. ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ სხვადასხვა მიმართულებით გაიარონ ვორქშოფები, ჩაატარონ თემატური გაკვეთილები, რომელთა მიზანია, დაეუფლონ სასარგებლო უნარებს, განსაზღვრონ მომავალი პროფესია.

2024 წლის თებერვლის თვეში, ხაშურის მუნიციპალიტეტში მოსულმა უხვმა

ნალექმა და ძლიერმა ქარმა გამოიწვია სტიქიური მოვლენები. შექმნილი იყო სამუშაო ჯგუფები, რომლებიც დაზარალებულ მოსახლეობასთან მუშაობდა, ხდებოდა მიყენებული ზარალის შესწავლა და აღრიცხვა. საკრებულო წარმოადგენდა ერთ-ერთ აქტიურ მხარეს ამ პროცესებში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის, მერიის და საკრებულოს დიდი ძალისხმევით, 2024 წლის იანვრის ბოლოს, ხაშურის შპს ,,ახალ კლინიკაში”, სამშობიარო განყოფილება გაიხსნა. ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ხაშურში სამეანო- გინეკოლოგიური განყოფილება წლების განმავლობაში გაუქმებული იყო. დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს სამშობიარო ბლოკი და სამშობიარო პალატა. 19 მარტს დაბადებული ქალ-ვაჟის დაბადების მოწმობაში გაჩნდა ჩანაწერ-„დაბადების ადგილი, ხაშური“.

2024 წლის 2 აპრილს ,ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო იყო ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი კულტურული ღონისძიებისა, როდესაც დიმიტრი ყიფიანის სახლ მუზეუმს ეწვია იაპონელი ენათმეცნიერი, მთარგმნელი და ქართველოლოგი იასუჰირო კოჯიმა, იგი ცნობილია, როგორც ვაჟა-ფშაველას ,,სტუმარ-მასპინძლის'' ნოდარ დუმბაძის ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონის” და სხვა ქართველი მწერლების ნაწარმოებების მთარგმნელი. სტუმარს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან გადაეცა სიგელი ,,საქართველოს სიყვარულისთვის”.

„ხაშურ–ქალაქობის“ დღესასწაულის ფარგლებში საპატიო ხაშურელები - ღვაწლმოსილი, მაღალი პროფესიონალიზმით, ღირსებით გამორჩეული ადამიანები დავაჯილდოვეთ. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ წარდგენილ იქნა ქალბატონი მერი ლურსმანაშვილი - ყველასათვის საყვარელი პედაგოგი, ადამიანი, რომელიც მომავალი თაობების აღზრდის საპატიო საქმეს 43 წლის განმავლობაში ემსახურებოდა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო არის ის პირველი ინსტიტუცია, რომელმაც კოლეჯ „ქართლის“ სადამფუძნებლო ჯგუფს უმასპინძლა და მოუსმინა მათ სამომავლო გეგმებს. 14 თებერვალი-კოლეჯი “ქართლის” ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და დაინტერესებული მხარეების შეხვედრა. დავათვალიერეთ კოლეჯის თანამედროვე სტანდარტებით კეთილმოწყობილი შენობა: ადმინისტრაციის სამუშაო გარემო, თეორიული და პრაქტიკული სწავლების აუდიტორია-სახელოსნოები და სხვადასხვა მიზნობრივი სივრცეები. 2024 წლის 15 ოქტომბერი, კოლეჯ ,,ქართლში” პირველი სასწავლო წელი დაიწყო. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო აქაც იდგა ამ უმნიშვნელოვანესი სასწავლო დაწესებულების გვერდით.

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3, #4,5,6,7,8,9,10,11,12,15,15,17,18. #36,37,38,39,40)

ფიდოს ნაჭერი - ადგ., სახნავი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ფიდო იყო ხაჩიძე”.

ფრონე - მდნარე, გამოდის ბიჯნისის მთიდან. ,,ჩვენ ფრონეს ვეძახით. ჩუმათელეთის და ბიჯნისის წყალი ერთდება იტრიის სკოლის ქვედა გვერდზე. აქედან ეძახიან სურამულას. ფრონეს ალბათ პატარა წყალს ეძახიან, დიდ წყალს არ უწოდებენ”.

ქოჩორაძის მიწა – ადგ; იხ. ლაშხევი;

ღარათი - ადგ., ხევი

ღარათის მიწები - ადგ., სათესი
ღარათის ღელე - ადგ; ღელე
ღვალის ღელე - ადგ; ღელე

ღვალიბიღელე - ღელე ჩრდილოეთის მხარეს. იგივეა რაც ღვალის ღელე. ,,უერთდება ოძისში კობალაძის ღელეს და შემდეგ ქემფრის (ტილიანას) წყალს. ღვალაძეები ცხოვრებულად”.

ღვალაძეები - ადგილი ჩრდილოეთის მხარეს. ,,აქ ცხოვრებულან ღვალაძეები და შემდეგ გადასახლებულან”.

ძიძიბაძი(ძინძიბაძე) მიწა - ადგ; იხ. ლაშხევი
ჩადუნელების უბანი - ადგ; უბანი

ჩელტები//ჩელტიების უანი - უბანი. ,,იგივე ხაჩიძეები არიან”.

ჩელტიების წისქვილი - ადგ., ნაწისქვილარი.

წმინდა გორა - ადგ., გორაკი დასავლეთის მხარეს. ,,შეიძლება ნაეკლესიარი იყოს”.

ჭიმიას ადგილები - ადგ., სათესი.

ჭედლეთიანების უბანი - უბანი. ,,უწინ მჭედლები ყოფილან ხაჩიძეები აქ”.

ხაჩიძეების უბანი - ადგ; იგივეა, რაც ჭედლეთიანების უბანი.

სოფელი ჩ უ მ ა თ ე ლ ე თ ი

ალექსანდრეს მიწა - ადგ., სახნავი
ამბული სერის მთა - ადგ., მთა
.

ამირანის ახო - ადგ., სახნავი

ახოები - ადგ; ტყე.
ბალანთხევი - ადგ., ხევი.

ბასილაშვილის წისქვილი - ადგ; ნაწისქვილარი.
ბიჯნისის გზა - გზა.

ბრმაღელე - ადგ; ტყე.

ბუსჭაობი - ადგ; საძოვარი, წყარო.

ბიჯნისულა – მდინარ.ე

გამბული სერი - ადგ; საძოვარი, ტყე.

გიგაშვილის წისქვილი – ადგ; ნაწისქვილარ.ი
გორას ახო - ადგ., მინდორი.

გორას მიწა - ადგ., სახნავი
გორას წისქვილი –ადგ; ნაწისქვილარი.

გრძელა - ადგ; საძოვარი, წყარო
დამშრალი წყარო - ადგ; წყარო

დიდი ახო - ადგ., სათიბი

დიდმიწები - ადგ., სახნავი

დიდსათიბი - ადგ., სათიბი

ერგენას მიწა - ადგ., ნაკვეთი

ვასოს წისქვილი – ადგ; ნაწისქვილარი

ვაშლაფერდი - ადგ., ფერდობი

ვაშლაფერდის ზედა ღელე - ადგ; ღელე

ვაშლაფერდის ქვედა ღელე - ადგ; ღელე

ვეცესპეს ნაძვნარი - ადგ., ტყე

ზავოდის ღელე - ადგ; ღელე

ზალიკოს ახოს გზა - ადგ; გზა

ზალიკოს ახოს კლდე - ადგ., კლდე

ზალიკოს ახოს სვანი - ადგ., სვანი

ზალიკოს ახო - ადგ., ტყე

ზაქარას წისქვილი - ადგ; ნაწისქვილარი.

ზღმარტნლნარი - ადგ; ტყე.

თედოს ნაწისქვილარი - ადგ; ნაწისქვილარი.

თეთრი მიწის სერი - ადგ; ტყე.

თივათელიძეების უბანი – უბანი.

იდუმას მიწა - ადგ., სათესი.

კორკოტაძეების უბანი - ადგ; უბანი.

კორკოტაძეების ჩასახვევი - ადგ; გზა

კორღანო- ადგ., მინდორი

კოტელას მიწა - ადგ., სათესი

კუკლიების წყარო - ადგ; წყარო.

კულუმეგაშვილების უბანი - ადგ; უბანი

ლამიანი სუანი - ადგ., სვანი

ლაშები - ადგ., სათები

ლაშის ღელე - ადგ; ღელე.

ლუარსაბის სვანი - ადგ., სვანი.

მწარებალა - ადგ., სახნავი.

მწარებალას წყარო - ადგ; წყარო.

მხირული ახო - ადგ., სათიბი.

მხიარული წყარო – ადგ; წყარო.

მიმინოღელე - ადგ; ღელე

მოხვეულები - ადგ; საძოვარი

ნაბაკები - ადგ; საძოვარი

ნავენახრები - ადგ; სახნავი, სათესი

ნაკალოვარი- ადგ., საძოვარი

ნარუჯები - ადგ; ტყე

ნასაბძლი - ადგ; ტყე

ნაქერალები - ადგ., სახნავი

ორხევი - ადგ; ხევი, ტყე.

ორხევის გვირაბი - ადგ; გვირაბი

ორხევის გზა - ადგ; გზა

ორჯონიკიძის გზა - ადგ; გზა

პირწოყანა - ადგ; სახნავი, სათესი

პლაცი - ადგ;

რკინიგზები - ადგ., მინდორი, საძოვარი
რუსიახოები - ადგ; ტყე

რუსიახოს ღელე - ადგ; მდინარე.

საბუათი - ადგ., მთა.

სათიბი//სათიბები - ადგ., მინდორი, ტყე

სათიბის წყარო - ადგ; წყარო

საკირეები - ადგ., ფერდობი

სამტრედოს ნაძვნარი - ადგ., ტყე
სამხედრო ტყე - ადგ., ტყე

საჩალეები - ადგ., სახნავი

სერგოს ახო - ადგ., სათესი

სიმონიკას ახო - ადგ., სათესი

სოსიას ნაწისქვილარი – ადგ; ნაწისქვილარი

სულაძეების ახო- ადგ., სახნავი

ტარასეულები- ადგ., მინდორი

ტბა - ადგ; ტყე

უკანუბანი - ადგ; სახნავი, სათესი

ფონის გზა – ადგ; გზა ფოშტის გზა - ადგ; გზა

ფრონე//სურამულა – მდინარე

ქესპარიების წისქვილი – ადგ; ნაწისქვილარი

ქოჩორა- ადგ., ტყე

ქუცუმა - ადგ; ნასოფლარი, სალოცავი დასავლეთით, მდებარეობს ლიხის ქედის ზეგანზე, რიკოთის უღელტეხილზე, ხაშურისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტების საზღვარზე.

ქუცუმსაყდარი - ადგ; სალოცავი. იხ. ქუცუმა

ყორღანი - ადგ; ტყე

ღარიწყალი - ადგ; წყარო

ღაჯების ღელე - ადგ; ღელე

ჩადუნელების უბანი - ადგ; უბანი

ჩადუნლების წისქვილი – ადგ; ნაწისქვილარი

ჩხოკი - ადგ; წყარო

ცაცხვისერი - ადგ; ტყე

ძლოური - ადგ., მთა

ძლოურის გზა - ადგ; გზა

ძლოურის ტყე - ადგ., ტყე

წითელი კლდე - ადგ., კლდე

წიფლის წყარო - ადგ; წყარო

წმინდა გიორგის ეკლესია - ადგ., სალოცავი

წყალობას წისქვილი – ადგ; ნაწისქვილარი

ჭალები - ადგ., სათიბი

ხალთისოროები - ადგ; ტყე

ელხევები - ადგ., სათიბი.

ფლევის სათემო საკრებულო.

სოფელი ნ ა ც ა რ გ ო რ ა

აკვანები - ადგ., სათესი.

გაბელავერი - ადგილი.

დამპალა – ადგ; დაჭაობებული მიწა

დუბე - ადგ., სათესი, სათიბი

კორომები - ადგ., ტყე.

ლენინისწყარო - ადგ; წყარო
.

მუხნარი - ადგ., ტყე.

მწკრივატყე - ადგ., ტყე, იგივეა რაც მუხნარი.

ნაცარგორა - ადგ., გორაკი.

სამსონას წყარო - ადგ; წყარო

ტეფნაძეები - ადგ; უბანი.

ფლეულა - მდინარე. ჩამოედინება ფლევიდან, ერთვის ფცის ფრონეს.

ჭალა - ადგ., სათესი, საძოვარი

ჭელიძეების ბინები - ადგ., ვენახი.

ხაჩიძეები - ადგ; უბანი.

სოფელი ტ კ ო ც ა

აბისის გზა - ადგ; გზა

ახლების ღელე - ადგ; ღელე.

ახოები - ადგ., სახნავი

დასავლეთის მხარეს. ,,ძველად” “კრცის ხევის” ახალმონაშენებს სახნავ-სათესებისათვის ტყეების დიდი ნაწილი გაუჩეხიათ, სწორედ ამიტომ უწოდებენ ახოებს”.

ახოების ღელე - ადგ; ღელე დასავლეთის მხარეს.

გაღმა უბანი - ადგ; უბანი.

(გაგრძელება იქნება)

თამაზ ლაცაბიძე

ხაშურში, დადიანის ქუჩის მოწყობა მიმდინარეობს



„დადიანის ქუჩაზე ტარდება მოასფალტების სამუშაოები. აქ უკვე განხორციელდა წყლის და წყალარინების რეაბილიტაციის პროექტი, ამიტომ საშუალება მოგვეცა, საგზაო ინფრასტრუქტურაზე გვეზრუნა. ტენდენცია გაგრძელდება და ხაშურის იმ ქუჩებზე, სადაც წყლის პროექტი განხორციელდება,ეტაპობრივად დავაგებთ ასფალტის საფარს“-განაცხადა სამუშაოების დათვალიერებისას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერთან ერთად, ადგილზე იმყოფებოდა ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გიორგი პაპიაშვილი, მისი განმარტებით, დადიანის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. პროექტის ღირებულება კი, 374 776 ლარს შეადგენს.

სურამში, ფიროსმანის ქუჩაზე, (პოლიციის მიმდებარე ტერიტორიაზე) სკვერი მოეწყობა

„პროექტი, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება და სხვადასხვა ასაკის მოსახლეობის ინტერესების შესაბამისი იქნება. გათვალისწინებულია: დასასვენებელი სკამების, ფანჩატურების, საბავშვო ატრაქციონების, გარე გამოყენების ტრენაჟორების, განათებების მონტაჟი. დაირგვება სხვადასხვა ტიპის ხე-

მცენარე. სივრცე ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, “- აღნიშნა სამუშაოების დათვალიერებისას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის-გიორგი პაპიაშვილის განმარტებით, სკვერის მოწყობის სამუშაოები, თანადაფინანსებით ხორციელდება და ღირებულება 169 691 ლარს შეადგენს.

ხაშურში, შინდარის დასახლებაში, სკვერის მოწყობაუახლოეს მომავალში დასრულდება

„უკვე, გაკეთებულია კონსტრუქცია და სკვერის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია. დასრულებული სახე ძალიან ლამაზი იქნება. გათვალისწინებულია დასასვენებელი სკამების, ფანჩატურების, საბავშვო ატრაქციონების, განათებების მონტაჟი. იქნება მინი სტადიონი, დაირგვება სხვადასხვა ტიპის ხე-მცენარეები. სივრცე ყველა ასაკის ადამიანის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს და ადგილობრივების საყვარელი ადგილი გახდება,“- აღნიშნა სამუშაოების დათვალიერებისას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა-თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის-გიორგი პაპიაშვილის განმარტებით, სკვერის მოწყობის სამუშაოები, თანადაფინანსებით ხორციელდება და ღირებულება 389 646 ლარს შეადგენს.

- მომავალ თაობაზე ზრუნვა -

დღის ცენტრის დიდი და კეთილი საქმეები

მომავალ თაობაზე ზრუნვა, ქვეყნის მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს, განსაკუთრებით იმ ბავშვების მიმართ, რომელთაც უფრო მეტი ყურადღება და ზრუნვა ჭირდებათ. ვაღიაროთ, რომ ასეთი ბავშვების რაოდენობა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ დიდია. სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვები, მიუხედავად იმის, რომ სახელმწიფოს მხრიდან, ფინანსური შემწეობით სარგებლობენ, მათთვის მნიშვნელოვანია ისეთი უნარების გამომუშავება, რაც მათ ადამიანურ და სამოქალაქო კულტურის განვითარებას შეუწყობს ხელს. მეორე წელია, ხაშურში არაფორმალური განათლებისა და ჰუმანური პედაგოგიკის ცენტრი არსებობს, სადაც სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვებს საბაზისო უნარების განვითარებაში, სასკოლო პროგრამების ათვისებაში ეხმარებიან. ცენტრი 25 ბავშვზეა გათვლილი, რომლებიც ყოველდღიურად დადიან, სწავლობენ, ურთიერთობენ და ვითარდებიან. დღის ცენტრის გახსნის იდეაზე, საჭიროებებზე, ცენტრის ხელმძღვანელი, **ნინო მესხიძე** ისაუბრებს:

-ქალბატონო ნინო, საიდან გაჩნდა იდეა, მსგავსი ტიპის დღის ცენტრის გახსნის?

-პროფესიით ექიმი ვარ, მაგრამ ყოველთვის უდიდესი სურვილი მქონდა, ისეთ ბავშვებზე მეზრუნა, ვისაც მინიმალური ყურადღება ექცევათ, მაგრამ აუცილებლად ჯანმრთელ ბავშვებზე მეზრუნა, ვისაც მზრუნველობა აკლია, რადგან, მგონია, რომ თუ ასეთ ბავშვებში სიყვარულს და ზრუნვას ჩავდებთ, უკეთეს მოქალაქეებს გავზრდით. სხვადასხვა გამოცდილებებმა,

აქამდე მომიყვანა. მთავარი მიზეზი მაინც ის იყო, რომ ვუყურებდი, როგორ იზრდებოდნენ ბავშვები მეზობლად, რამდენი საჭიროება ჰქონდათ ჰიგიენის, მოქცევის მხრივ. დავიწყე ფიქრი, სულ ვფიქრობდი, რა შემეძლო გამეკეთებინა. გავიარე კონსულტაცია ტრეფიკინგის სამსახურის თანამშრომელთან, მინდოდა, სახელმწიფოს მხარდაჭერით მომხდარიყო ეს ყველაფერი. ესაა დიდი სოციალური პროგრამა, რომლის ქვეპროგრამა არის 6-დან 18 წლამდე მიტოვების რისკის და მზრუნველობა მოკლებული ჯანმრთელი ბავშვების ქვე პროგრამა. აღმოჩნდა, რომ ხაშურში, 30 ბავშვზე არის კვოტა გამოყოფილი, რომელიც წლების განმავლობაში არ იყო ათვისებული. 2021 წლის დეკემბერში, დავიწყე იურიდიული ფორმალობების მოგვარება და გადავგზავნე სამინისტროში.2022 წლიდან, მოხვდა ცვლილებები და ბევრი ფორმალობების გავლის შემდეგ, ჯანდაცვის სამინისტროს წამომადგენლებმა შეამოწმეს სივრცე, მომცეს რეკომენდაციები. ნოემბერში მომენიჭა პროვაიდერის სტატუსი და დავიწყეთ საქმიანობა. თუმცა, პირველი ბენეფიციარები 2023 წლის მარტში მივიღეთ.

-როგორ დაიწყეთ ბენეფიციარების მოძიება?

-მხოლოდ ხაშურზე გავაკეთე აქცენტი, რადგან ტერიტორიულად უფრო კომფორტული იქნებოდა ხაშურში მაცხოვრებლებისთვის დღის ცენტრში სიარული. რადგან კვოტა 25 ბავშვზე მოგვცეს, მეტის მიღების შესაძლებლობა, სახელმწიფო პროგრამით, არ მქონდა. თავდაპირველად, სკოლის დირექტორებთან დავიწყე ურთიერთობა, მათთან შეთანხმებით, სკოლის მასწავლებლებს ვხვდებოდი და ვაცნობდი ამ პროგრამის სარგებლიანობის შესახებ ინფორმაციას. ძირითადად, მეექვსე სკოლის მასწავლებლები წამოვიდნენ კომუნიკაციაზე და ბენეფიციარების უმრავლესობაც ამ სკოლის მოსწავლეებია. სხვა სკოლიდანაც შემოგვიერთდნენ მოგვიანებით, თუმცა, მაინც მათთვისაა მოსახერხებელი, ვინც უფრო ახლოს ცხოვრობს.

-დღის ცენტრით სარგებლობა, რა ასაკის ბავშვებს შეუძლიათ?

-6-დან 18 წლამდე. მხოლოდ ერთი მყავს მეცხრე კლასელი, დანარჩენები პატარა ასაკის, პირველი საფეხურის მოსწავლეები გვყავს

-რა დროს ატარებს თქვენთან შემოსული ბავშვი?

-დილის ცხრა საათზე ვიწყებთ მიღებას, ცვლაში არიან ბავშვები. პირველ რიგში, იღებს გარემოს და ურთიერთობებს, ჩემი მთავარი მიზანი იყო, შემექმნა გარემო, სადაც ბავშვები დაინახავდნენ, რომ არსებობს სხვა ურთიერთობები, განსხვავებული მათი ოჯახისგან, ისწავლიდნენ მიმართვის

ფორმებს, ჰიგიენური ნორმების დაცვას, დამიჯერეთ, ეს ნამდვილად დიდი პრობლემაა, საკვების მიღების კულტურას და რა თქმა უნდა, აკადემიური მოსწრება-ბავშვებმა წერა-კითხვა არ იცოდნენ. არაფორმალური განათლება, პროექტორი გვაქვს, ხატავენ, მუშაობენ და სადილობენ ან საუზმობენ.

-აქ მოსვლა მათთვის რამდენად სასიამოვნოა?

-სიხარულით მოდიან და აღარ უნდათ წასვლა, იხვეწებიან ხოლმე, დავრჩებითო. ჩვენთან შემოსული ბავშვი, ყოველდღე გადის რეგისტრაციას დღიურში და დღის ცენტრში, სამი საათი უნდა დარჩეს, რომ სრულყოფილად მოხდეს ათვისება.

- რამდენი თანამშრომელი ჰყავს დღის ცენტრს?

-ორი მასწავლებელია დღის ცენტრში, ფსიქოლოგი, დიასახლისი და მე. ძირითადად, ქართულში და მათემატიკაში ვეხმარებით. სხვა საგნებში უფრო სახალისო და მათთვის გასაგებად ხდება მიწოდება. სადილის შემდეგ, სკვერში გავდივართ, რომ ფიზიკურადაც იყვნენ აქტიურები. გარემოსდაცვით აქტივობებშიც ვართ ჩართული, მხარეთმცოდნეობის მუზეუმშიც გვყავდა, გამოფენებშიც მონაწილეობდნენ. პრობლემა ისაა, რომ ეს ბავშვები, ერთდროულად ვერ მოდიან და მათი შეკრება ვერ ხდება ერთიანად, რაიმე სხვა ტიპის სწავლება რომ დავგეგმოთ.

-მშობლების ჩართულობა ან მონაწილეობა როგორია?

-ჩვენ არ გვქონია პრობლემა მშობლებთან კომუნიკაციის. თავიდან, მინდოდა, მშობელთა კრება ჩამეტარებინა, არ ისურვეს ეს. ზოგი მშობელი უფრო აქტიურადაა ჩართული, ზოგი - ნაკლებად, თუმცა ურთიერთობა ძალიან კარგი გვაქვს, გამოხატავენ მადლიერებას. ერთი მომენტია ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი. ოთხი ბავშვი გვყავს, დღის ცენტრის კომერციული მოსწავლეები, რომლებსაც თავიდან გარკვეული დისტანცირება, მიუღებლობა ჰქონდათ ბენეფიციარი ბავშვების მიმართ, თუმცა სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, ეს ბავშვები ინტეგრირდნენ ერთმანეთთან, მე ვფიქრობ, ეს ყველაზე დიდი გამარჯვება და მიღწევაა.

- რა სახის პრობლემა აქვს დღეისთვის დღის ცენტრს?

-პრობლემა ძირითადად, ზამთარში გათბობას უკავშირდება, გარდა ამის, დამატებითი ინფრასტრუქტურის შექმნაა საჭირო, რადგან ის თანხა, რაც გვაქვს სახელმწიფო დაფინანსებით, ბევრი რამის კეთების შესაძლებლობას არ გვაძლევს. ძალიან გვინდა, ეზო მოვაწესრიგოთ, სავარჯიშო სივრცე გავაკეთოთ, რომ ბავშვები ფიზიკურადაც აქტიურები იყვნენ, თუმცა ამ ეტაპზე, ამის ფინანსური შესაძლებლობა ცენტრს არ აქვს. ვეძებ სპონსორებს, რომ გავმართოთ ეს. თავიდან ვფიქრობდი, რომ მარტოც შემეძლო ყველაფრის კეთება, დღეს ვფიქრობ, რომ სხვა ადამიანების ჩართულობა, მეტ შედეგსაც მოიტანს და ერთად კარგი საქმის კეთება უფრო სასიამოვნო და სასარგებლოცაა.

რედაქციის სახელით, მხარს ვუჭერთ და ინფორმაციულ მხარდაჭერას ვუცხადებთ დღის ცენტრს. აგრეთვე, გვინდა, მივმართოთ, კერძო სექტორის წარმომადგენლებს, რომ ჩვენი მცირე წვლილი შევიტანოთ, მომავალი თაობის აღზრდა-რესოციალიზაციის საქმეში და როგორც შეგვიძლია, თითო აგური დავდოთ კარგი საქმის მშენებლობის პროცესში, რომ დასრულებული შენობა უფრო მყარი და მომავალზე გათვლილი იყოს.

თ. ჯავახიშვილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.